<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=485389 Y=4617193
1:2,500
მაქსიმე შარაძის ქ.
X=485877 Y=4616831

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ მიხეილ ამაშუკელს

მოქ. ჯონ ა. ჯრუღი

მცხ. 43 ბუჯინი, ბ. 42, თბილისი

ტელ. 599-365-372

პ/ნ. 0169-4000-552

ეკრ. 01-17-02-005-021

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ავლაბრის უბანში, ელიას დასახლების ყველაზე მაღლა მდებარე ქუჩას, სადაც მე ვცხოვრობ არ გააჩნია დასახელება და შესაბამისად ნუმერაცია.

აქამდე ეს ქუჩა, მაშინ როცა ქ. თბილისის მერია და ქონების მართვის სააგენტო რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფო აუქციონის წესით ყიდდა მიწებს ეს ქუჩა პირობითად სახელდებოდა, როგორც აბაშვილის ქუჩის მიმდებარედ ან ელიას სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ.

ახლა, როცა მიწის ნაკვეთების მფლობელებს გვიწევს გარკვეული სამუშაოების წარმოება, ვაწყდებით გარკვეულ შეუსაბამობებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დადგა დღის წესრიგში საკითხი, რომ ეს ყველაფერი მოწესრიგდეს ისე, როგორც დედაქალაქის ძირითადი ქუჩები.

გვაქვს იდეა, რომ ჩვენს უსახელო ქუჩას ეწოდოს გამორჩეული ქართველის, ეროვნული მნიშვნელობის პიროვნებისა და ამავდროულად დიდი საზოგადო და საგანმანათლებლო მოღვაწის, ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენის საქმეში უდიდესი წვლილის შემტანის - მაქსიმე შარაძის სახელი.

დეტალური ინფორმაცია, მაქსიმე შარაძის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულის მეშვეობით:

https://ka.wikipedia.org/wiki/მაქსიმე_შარაძე

http://www.orthodoxy.ge/biografiebi/maqsime_sharadze.htm

გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი, რათა დადებითად გადაწყდეს მცხოვრებთა სურვილი, რომ ჩვენს საცხოვრებელ ადგილს, ქუჩას მიენიჭოს მაქსიმე შარაძის სახელი.

27 აპრილი. 2021

ჯონ ა. ჯრუღი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011793281316420

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

526038

29 / დეკემბერი / 2020 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბერს წარედგინა რობერტ სილაგაძის (პ/ნ:01011019198) N M20013170 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით: N 01.17.02.005.066. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია: ქალაქი თბილისი, ელიას მთა, სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ, (ნაკვეთი 005/004). ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ, ასევე ადმინისტრაციული კუთვნილების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: თანდართულ სიტუაციურ რუკაზე სააგენტოს მიერ მითითებული გეოგრაფიული ობიექტის კონტური წარმოადგენს პირობით მონიშვნას, სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032104387**
თარიღი: **12/02/2021**
პინი: **1799**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ასლი:

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

ასლი: სამისამართო სამსახურის უფროსს ქალბატონ ნინო ბახიას

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2020 წლის 29 დეკემბრის საქმე #04-032036412-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე რობერტ სილაგაძე N M20013170 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.17.02.005.066).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, ზემოთ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01210482043**
თარიღი: **17/02/2021**
პინი: **6443**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

17-032104842-03.

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 12.02.2021 წლის #03-032104387 (16.02.2021წ. #14-01210432173-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



მაქსიმე შარაძე

(1859-1908)

საზოგადო მოღვაწე

დაიბადა 1859 წელს სოფელ ეწერში, ოზურგეთის მაზრაში. 1882 წელს თბილისში დააარსა საღვთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი, რომლის მიზანი იყო საღვთისმეტყველო განათლების გავრცელება და საეკლესიო გალობის შესწავლა. შემდგომში კაბინეტი საგალობლების გადარჩენის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა ამის გამო ეგზარქოსმა პავლემ სამი დღით დაატუსაღებინა შარაძე სახალხო მღელვარების ან სექტანტობის შესაძლო ქადაგებისათვის. შარაძემ 1886 წელს მაინც მიიღო კაბინეტის გახსნის ნებართვა.

1886-1900 წლებში იყო გაზეთ „ივერიის“ ექსპედიტორი და ხაზინადარი, ილია ჭავჭავაძის მოურავი. 1885 წლის გიორგობა დღეს ქაშვეთის ტაძარში შარაძემ მოისმინა ძველი ქართული გალობა. მსახურების შემდეგ იგი შეხვდა გუნდის ლოტბარს, მელქისედეკ ნაკაშიძეს. ამ შეხვედამ განაპირობა შარაძის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო საგალობების გადარჩენის პროცესში. 1890 წელს შარაძემ დააარსა სტამბა სახელად „მ. შარაძე და ამხ. სტამბა“, რომელიც თბილისში, ნიკოლოზის # 21-ში (დღევანდელი ჯავახიშვილის ქუჩა) იყო განთავსებული, იმავე სახლში, სადაც ილია ჭავჭავაძის ბინა და „ივერიის“ რედაქცია იყო განთავსებული. სტამბის მოწყობილობა შარაძემ გერმანიიდან გამოიწერა. 1891-1900 წლებში შარაძის სტამბაში იბეჭდებოდა „ივერია“, ასევე თბილისში გამომავალი „ცნობის ფურცელი“ და „საქართველოს კალენდარი“. 1891 წლის 10 დეკემბერს შარაძემ მოსკოვიდან ჩამოატანინა ნოტების ასაწყობი შრიფტი, რაშიც მას ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე ხახანაშვილი დაეხმარნენ. ეს იყო ნოტების ასოების პირველი შემოსვლა საქართველოში. შარაძის სტამბაში დაიბეჭდა 1895 წელს ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლები. 1893 წელს შარაძემ დააფინანსა ფილიმონ ქორიძის მივლინება ოზურგეთში ანტონ დუმბაძისგან საგალობელთა ჩასაწერად.

1895-1908 წლებში ძმობამ საკუთარი სახსრებით ხუთი საგალობო კრებულის გამოცემა შეძლო. 1901 წელს შარაძის სტამბა დახურეს პროკლამაციების ბეჭდვის ბრალდებით. დამამტკიცებელი საბუთები ვერ ნახეს და 1902 წელს არისტოვლე ქუთათელაძის თავდებობით სტამბა აღადგინეს, მაგრამ ამ ფაქტმა შარაძის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა. ნერვიულობამ და დარდმა ის ფიზიკურად დააუძლურა. გარდაიცვალა 1908 წელს ჭლექით.